



1658-05-2-201704260945



N 05/1658

26/04/2017


ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას

თქვენი 2017 წლის 12 აპრილის №05/1863 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მდინარე მაჭახელაზე ჭარბი აკუმულაციის უბნიდან ინერტული მასალის ამოღების საკითხს გაცნობებით, რომ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის წინააღმდეგი, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჭარბი აკუმულაციის უბნიდან განხორციელდეს ინერტული მასალის ამოღება.

დავით შარიქაძე

დეპარტამენტის უფროსი

ენერჯეტიკული დეპარტამენტი



შპს „ბათუმი პეტროლიუმ“

მის: საქართველო, ქ. ბათუმი, თამარის დასახლება ბნქ ტერიტორია

საიდ. № 445388624

ტელ: (+995 577) 79 99 02 / 577 30 20 32


№19/04-17

19 აპრილი 2017 წელი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ნადიმ ვარშანიძეს

ბატონო ნადიმ,



თქვენი 2017 წლის 12 აპრილის N05/1865 წერილის პასუხად (რომლის საფუძველზეც თქვენს მიერ მოთხოვნილია თქვენს კორესპონდენციაშივე მითითებულ უბანზე ჭარბი აკუმულაციის უბნიდა ინერტული მასალის ამოღებასთან დაკავშირებით ჩვენი, როგორც იქ არსებული წყლის მილსადენების მესაკუთრის მოსაზრების წარმოდგენა) გაცნობებთ, რომ ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი განხორციელდეს მდინარე ლეჩას ღვარცოფული ხეობის კალაპოტში ჭარბი ინერტული მასალების ამოღება, თუკი გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობები, კერძოდ:

1. აღნიშნულ უბანზე ჭარბი ინერტული მასალების ამოღების პროცესში თუ დაზიანდა შპს „ბათუმი პეტროლიუმ“-ის კუთვნილი მიწები (ან/და კომპანიის კუთვნილი სხვა აქტივის/ქონება), უაპელაციოდ და დაუყოვნებლივ განხორციელდეს (გამგეობის ან/და იმ ორგანიზაციის მიერ ვინც მოახდენს ინერტული მასალების ამოღებას) დაზიანებული მიწების (ან/და კომპანიის კუთვნილი სხვა აქტივის/ქონების) აღდგენა და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;
2. ვინაიდან შპს „ბათუმი პეტროლიუმ“-ის კუთვნილებაშია ნავთობტერმინალი, ხოლო ნავთობტერმინალის უსაფრთხოებისათვის საჭიროა ტექნიკური წყლის ჭარბი მარაგი (რომლის მომარაგებაც ხორციელდება აღნიშნული მდინარიდან), ჭარბი ინერტული მასალების ამოღების შემთხვევაში არ განხორციელდეს მდინარე ლეჩას კალაპოტის შეცვლა ან/და მდინარის წყლის ოდენობის შემცირება;
3. ჭარბი ინერტული მასალების ამოღების პროცესში აუცილებლად დაესწროს შპს „ბათუმი პეტროლიუმ“-ის ტექნიკური დირექტორი (რ. ბერიძე) ან/და კომპანიის სხვა უფლებამოსილი პირი.

შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გაცნობებთ, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენს მიერ ზემოთხსენებული პირობების გათვალისწინების შემთხვევაში თანახმა ვართ განხორციელდეს შესაბამის უბანზე (რომელიც მითითებულია თქვენს N05/1865 კორესპონდენციაში) ჭარბი ინერტული მასალების ამოღება.

გთხოვთ ყოველივე ზემოაღნიშნული მიიღოთ ცნობათ და ინერტული მასალების

განხორციელების დროს გაითვალისწინოთ ჩვენს მიერ დასახელებული პირობები (აღნიშნული პირობები (როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა) ჩაიწეროს სააუქციონო პირობაში, შესაბამის ხელშეკრულებაში ან/და სხვა სამართლებრივ დოკუმენტაციაში);

პატივისცემით,

გენერალური მენეჯერი:



/მამუკა ზაქარაძე/

20/04/2017.

გან ჩაიწერა



N: 04/02-2017

"20" აპრილი 2017

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ნადიმ ვარშანიძეს

ბატონო ნადიმ

თქვენი, 2017 წლის 12 აპრილის #05/1864, წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სოფ. კაპრეშუმის ხიდზე (მდინარე ყოროლისწყალი) გადის სილქნეტის მაგისტრალური სატელეფონო კაბელი. რაც შეეხება მდინარე ყოროლისწყალის კალაპოტს, ხიდიდან ზევით სოფ. აგარის მიმართულებით, სილქნეტის კაბელები არ გადადის და შესაბამისად არც საფრთხე არ იქმნება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ სამუშაოების წარმოების დროს გაითვალისწინოთ სოფ.კაპრეშუმის ხიდზე გამავალი მაგისტრალური კაბელის არსებობა, რათა არ მოხდეს მისი დაზიანება.

პატივისცემით

ნუგზარ ნაკაშიძე

სს „სილქნეტი“ აჭარის

სერვისცენტრის უფროსი

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამგებანი
N: 3851/05
21 04 20 17
საქართველო